№ 95. 2 მაისი, ოთხშაბათი. 1866—1884 2 მაისი, ოთხშაბათი. № 95.

„დროების" რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების" ფასი პირველის მაისიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი.

### დაუწყობელი ომის დასასრული.

თბილისი, 2 მაისი.

ჩვახსოვს ერთ-ერთ ჩვენის გაზეთის ფელეტონში ეხლანდელი ჩინელები შევადარეთ ძველ ხატაველებს, რომელნიც ისე ჩინებულად ჰყავს აღწერილი შოთა რუსთაველს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ ჩინელების ცივილიზაცია ერთსა და იმავე ხარისხზედა სდგას და არ შეცვლილა თითქმის სამი ათასი წლის განმავლობაში. როგორც სჩანს, არამც თუ ცივილიზაცია, არ შეცვლილა აგრეთვე მათი ხასიათი და როგორც ამ შვიდასის წლის წინად იყვნენ ჩინელები მხდალნი, ორპირნი და თან დიდგულანი, იგივე თვისება გამოიჩინეს ეხლაც, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, ფრანცუზებთან ომში.

დღევანდელ ტელეგრამებში წაიკითხავთ, რომ ტიან-ძინში საფრანგეთსა და ჩინეთს ერთმანეთთან მშვიდობის დამყარების პირობა შეუკრავთ. ჩინეთს მიუღია საფრანგეთის მხრივ პროტექტორატი ტონკინსა და ანამზედ და აგრეთვე თავისი სამი სამხრეთისაკენ მდებარე პროვინცია ევროპიელთა ვაჭრობისათვის გაუღია. ტელეგრამა არ იტყობინება—მარტო საფრანგეთისა, თუ ყველა ევროპიელთა ვაჭრობისათვის გაღებულან ეს ქვეყნები. მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს; სადაც ფრანცუზები შესდგამენ ფეხს, უეჭველია, მათს კვალს მალე სხვა ქვეყნელებიც მიჰყვებიან და ამ გვარად სამხრეთის მხარეს მაინც დაირღვევა ჩინეთისაგან ამართული კედელი და ევროპიელთა ვაჭრობას ახალი გზა გაეხსნება.

მაშ ამით გათავდა ჩინელი დიპლომატების მუქარა და ბაქი-ბუქობა. ამ ქვეყნის მთავრობა თითქო რაღაც ბავშვობასა თამაშობდა, როდესაც გამოუცხადა საფრანგეთს,—აბა სონტაი აიღე და მაშინ უეჭველად ომს გამოგიცხადებო. საფრანგეთის ჯარმა აიღო სონტაი, ჩინელებმა უარესი ყაყანი შეჰქნეს; აბა ახლა ბაკნინგი აიღონ და მაშინ ვაჩვენებთ თავიანთ თამაშასაო. ფრანცუზებმა აიღეს ბაკნინიც, ისე რომ არც ერთ იქ მყოფ ჩინელ სალდათს თოფი ერთხელაც არ გაუსვრია. ამ ორი ქალაქის აღების შემდეგ, ფრანცუზები შეჰყვნენ ტონკინის შუაგულს, მიაღწიეს თითქმის საკუთარი ჩინეთის სამძღვრამდე, და ჩინელებს მხოლოდ ეხლა აღმოაჩნდათ, თუ რა ფასი უნდა სდებოდა მათს მუქარასა და ბაქი-ბუქობას.

მართალია, საფრანგეთს უარი უთქვამს სამხედრო ხარჯის გამორთმევაზედ, მაგრამ ამით მისმა მთავრობამ შორს-გამჭვრეტელობა გამოიჩინა. მან კარგად იცოდა, რომ ახირებით საქმე უფრო გაძნელდებოდა და ის სჯობდა რამდენსამე მილიონს ფრანკზე უარი ეთქვა, ოღონდ შესაძლებელი ყოფილიყო სრული თავისი ძალ-ღონე შინაურ საქმეებისათვის მოეხმარებინა. მშვიდობიანობის დამყარება მით უფრო სასახელოა საფრანგეთის მთავრობისათვის, რომ მან მეტსაც მიაღწია, ვიდრე პირველში განზრახვა ჰქონდა. ანამი და ტონკინი ეხლა თითქმის მის ხელთ არის და ჩინეთის სამხრეთიც მალე სრულის მისის გავლენის ქვეშ იქმნება.

თუ ჩინეთისათვის ბედს სხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოქცევა დაუნიშნა,—ისევ საფრანგეთის პროტექტორობა ურჩევნიან.

### შინაური ქრონიკა

= კვირას, 6 მაისს, არწრუნის თეატრის დარბაზში დაიწყობა წლიური კრება თბილისის სათავად-აზნაურო ბანკისა. ამ კრებაზედ სხვათა შორის განიხილება წინადადება ბანკის გამგეობისა სარგებლის შემცირებაზედ ნახევარ პროცენტით. აქამდის მსესხებლებს შეჰქონდათ ყოველ წლიწადს თავნსა და სარგებელში ქალაქის მამულებზე 9% და სოფლისაზე 8%. ბანკის გამგეობა იმ აზრისაა, რომ თუმცა საზოგადოდ ჩვენს მხარეს ეხლა ეკონომიური კრიზისი აწუხებს, მაინც ადვილად შეუძლიან ბანკს აიტანოს ამ გვარად სარგებლის შემცირება და მისცეს შეღავათი მსესხებელთა. თუ საზოგადო კრებამ მიიღო გამგეობის აზრი, მაშინ მსესხებელნი მოვალენი იქნებიან წლიწადში აძლიონ ბანკს თავნსა და სარგებელში ქალაქის მამულებზე $8^1/_2$% და სოფლისაზე $7^1/_2$%. ამას გარდა გამგეობას საჭიროდ დაუნახავს ზოგიერთი ხარჯების მომატება და ამ საგანზედაც ექნება მოლაპარაკება საზოგადო კრებას. რაც შეეხება წმინდა მოგების 35%, რომელიც წელს 22,426 მან. და 19 კაპ. შეადგენს, ეს ფული, რასაკვირველია, უმთავრესად სათავად-აზნაურო სკოლისათვის გადიდება, მხოლოდ გამგეობას საჭიროდ დაუნახავს, რომ ერთი ნაწილი ამ ფულისა, 1500 მან. მიეცეს სამეურნეო სკოლას ს. წინამძღვრიანთ კარში, რომელიც ჯერ-ჯერობით ერთად ერთი ამგვარი დაწესებულება ჩვენს ქვეყანაში და რომელსაც შეუძლიან დიდი სარგებლობა მოუტანოს მას თავის პროგრამისა და სხვა დაწყობილობის რიგიანობით.

სხვათა შორის, ამ კრებაზედ იქნება

---

«დროების» ფელეტონი 2 მაისი.

### პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები.

(შემდეგი *)

ამ წელს ბ. პატკანოვმა გამოსცა ახალი შრომა (О древней Грузинской хроникѣ (журн. мин. народ. просв., 1883, декабря), რომელშიაც იგი მოსაუბრობს ქართლის-ცხოვრებაზედა, ჩვენის ისტორის დასაწყისზე. აქ დიდა-აზრად იმას აქვს ქართლის-ცხოვრების სათაური მნიშვნა, რომელიც გვაცნობებს, ვითომც ვახტანგ მეფეს „მოეხვნეს გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და შეემოწმებინოს ქართლის-ცხოვრება და რომელი განრყვნილიყო განემართოს და სხვაცა წერილნი მოეხვნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოეხვნეს და ესრედ აღეწერინოს". ამის გამო, ბ. პატკანოვი ქართლის-ცხოვრებას თითქმის არ აძლევს არავითარ მნიშვნელობას. იმის აზრით, ქართლის ცხოვრება არ არის ძველის დროის ნაწარმოები...

რა ძნელია ხან-და-ხან აღმოკვეთა მსწავლულთ აზრში ერთხელ შემთხვევით დანერგილის შეცდომისა, ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ აქამომდე ქართლის-ცხოვრება სრულიად უსაფუძვლოდ არის ცნობილი «ვახტანგის ქართლის-ცხოვრებად». ამ აზრზე დამყარებულნი ზოგიერთნი ფიქრობდენ და ფიქრობენ, ვითომც ქართველებს არა ჰქონდეთ ძველი ისტორია. ამ შეცდომის ისტორია ღირსია საზოგადო ყურადღებისა და ამისათვის საჭიროდ ვრაცხთ მკითხველს იგი ავუხსნათ.

ვახტანგ მეფეზე ჩვენა გვაქვს მოთხრობა, რომელიც ეკუთნის იმის შვილს ვახუშტის და სხვათა თანა-მედროვე მწერალთა და რომელიც დაწვრილებით გვიხატავს ყოველს შემთხვევას იმის ცხოვრებაში. ამ მოთხრობით ვიცით, რომ ვახტანგს გაუჩენია ჩვენში სტამბა, დაუბეჭდია ვეფხის-ტყაოსანი თავის განმარტებით და საეკლესიო წიგნები, შეუდგენია სჯულ-კანონი, დასტულამა და სხ. რა არის მისგან და იმის დროს დაწერილი, თუ თარგმნილი, ყველა ეს და სხვა ამ გვარი არ არის დავიწყებული მის დროის მწერალთაგან. მაგრამ ქართლის-ცხოვრების შესწორება ვახტანგისაგან არც ერთის მათგანისაგან არ იხსენიება.

მიზეზი ზემო-ხსენებულის შეცდომისა, ჩვენის ფიქრით, აიხსნება შემდეგის გარემოებით. ძველი ქართლის-ცხოვრება, როგორც ვიცით, იყოფა ორ პერიოდად: პირველი თავდება მე-XIV საუკუნის დამდეგს, გიორგი ბრწყინვალის დროს; მეორე შეიცავს შემდეგის დროის გამოკვლევას. მეორე პერიოდის ისტორია, შეუწყვეტელის არეულობის გამო საქართველოში, არ ყოფილა შემუშავებული და რიგზე აღწერილი. აი რას ამბობს ამ საგანზე ვახუშტი თავის ისტორიის მეორე ნაწილის წინა-სიტყვაობაში: „...თუმცა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და საეკლესიოებთა წიგნებთა შინა ქორონიკონებთა მათთა, რომელი აღუწერიათ ბრწყინვალის გიორგიდამ, ვიდრე ჩვენამდე ყოველთა მეფეთა და მთავართა, და სხვასა ვიუწყებთ ხსოვნა-მოთხრობათა და მცირედთა ცხოვრებათა მათთა წარწერითაცა; არამედ გარჩევა საჭირო არს და უხმს შრომა დიდი. გარნა ამის გარჩევისათვის წარმოვთქვათ ბრწყინვალეს გიორგიდამ ვიდრე ჩვენამდე. ხოლო აღუწერიათ ცხოვრებაცა სახელითა ლევანის-ძისა მეფის ვახტანგისათა, რომელიც არა საგონებელ არს მის მიერ: განა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი". შემდეგ ამისა ვახუშტი უჩვენებს ხრონოლოგიურ შეცდომებს ამ აღწერილობისას, და წინა-სიტყვაობას აბოლოებს ამ სიტყვებით: «ხოლო ჩვენი შრომა ამისთვის იყო, ვინადგან მეფის ვახტანგის სახელით აღეწერათ და ვიხილეთ ესე-ოდენი წინა-აღმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორენით და განვამართლეთ მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არავინ სთქვას მხილველმან ამისმან შეურაცხება რაიმე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრედ, ვითარცა აღვსწერეთ, ვინადგან ნათესაობისა ქორონიკონსა სწორესა სწერს, გარნა შემწყობი ამისი შეცდომილ არს». ამ ვახუშტის სიტყვებიდამ ჩვენ ეს დასკვნა გამოგვაქვს, რომ მისგან დაწერილი ახალი ისტორიული ცხოვრე-

*) იხილე „დროება" № 94.

განხილული სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელმაც გადასინჯა ბანკის სრული მოქმედება მის დაწესებიდამ დღემდე და რომელსაც უნდა შეემჩნია ყოველივე ნაკლულევანება, რომელიც კი სასურველია აცილებულ იქმნას.

ერთის სიტყვით, იმდენი საქმე ექნება წრევანდელს საზოგადო კრებას, რომ, უეჭველია, იგი რამდენსამე დღეს გასტანს.

== მკითხველებს ეხსომებათ, რომ ს. ახალქალაქის მცხოვრებლების ერთს ნაწილს უნდოდა სომხის ეკლესია აეშენებინა სასოფლო სკოლის ეზოში და მით შეევიწროებინა როგორც ეს უკანასკნელი, ისე სხვა სოფლისათვის საჭირო შენობები ამავე ეზოში. ეხლა, როგორც გვწერენ, მაზრის უფროსს უარი გამოუცხადებია და არ მიუცია ნება, რომ ხსენებულ ადგილზედ სომხებს ეკლესია აეშენებინათ. ეს უარი გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ადგილობრივ საქმის გასინჯვის შემდეგ შეუძლებლად აღმოჩენილა ერთსა და იმავე ეზოში რამდენიმე შენობისა და დაწესებულების მოთავსება.

== მთელის იმპერიის ქალაქებზედ მალე გაწერილი იქნება ხარჯი ჯარის სადგურებისათვის ფულად. როგორც შევიტყვეთ, თბილისზე ეს ხარჯი იქნება 47000 მანათი, გორზე 900 მან., დუშეთზე 500 მან. და სხვ.

== ს. ხაშმიდამ გვწერენ: „30 მარტს მოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე როსტომბეგოვი მამასახლისისაგან და მწერლისაგან ჩადენილი ბოროტ-მოქმედების გამოსაძიებლად. გამოძიებამ «დროების» ფურცლებზედ აწერილ ბოროტ-მოქმედებაზედ მეტი აღმოაჩინა. ბ. როსტომბეგოვი გამოძიების დროს მოიქცა პატიოსნურად და კანონიერად...

„გამოძიების შემდეგ, აღელვებულს ხალხს ბ. როსტომბეგოვმა შემდეგის სიტყვებით მიმართა: თბილისის გუბერნიაში არ მოიძებნება ხაშმისთანა ბუნებით მდიდარი სოფელი, მაგრამ ასე ღატაკად სხვა სოფლებში არა სცხოვრობენ. მიზეზი ამისი არის საზოგადო საქმის დაუდევრობა და ურთიერთ-შორის შური და მტრობა. თქვენი კეთილ-დღეობისათვის საჭიროა მოსპოთ შური, მტრობა და საზოგადო საქმეზედ იყვნეთ ფიხზლად და ერთგულად, ისე, როგორც საკუთარი საქმისადმი.

„კეთილად და გონივრულად ცხოვრებისათვის არის საჭირო სწავლა და ამისათვის, რაც შეიძლება, სკოლას უნდა ხელი გაუმართოთ».

== იქიდამვე გვწერენ: «23 აპრილს, დილის თერთმეტ საათზედ, იალნოს მთაზედ გაჩნდა თეთრი ღრუბელი, რომლის დანახვაზედ ხალხმა დაიწყო გოდება» — ეს ღრუბელი სეტყვისაა და დაგლეუპავსო. მართლაც ნახევარ საათის განმავლობაში აღმოსავლეთის მხარეს ნახევარი იალნოს მთისა სულ გაათეთრა და ნახევარ საათის შემდეგ სოფელს ხაშმსაც მოაწია. დაიწყო სეტყვა და სამი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ მოდიოდა მსხვილ წვიმასთან ერთად, სამ გოჯზედ დასდო სეტყვა. რაც სეტყვას გადარჩა, ნიაღვარმა წაახდინა. წელს ხაშმელები მოელოდენ ღვინის დიდ მოსავალს, რადგან ერთი კვირტის ალაგას ორი და სამი გამოჰქონდა, მაგრამ სასიხარულო იმედი სამწუხაროდ გადაექცათ.

„სეტყვამ ცოტა ნაკლების ძალით გაიარა სოფ. მუღანლოსა და სართის-ქალაზედაც.»

== «ნოვოე ვრემიას» სიტყვით, თეირანში მისულან ორი რუსის ინჟინერი, რომ სპარსეთის მთავრობისაგან ნება აეღოთ რკინის გზის გაყვანისა ბაქო-თბილისის რკინის გზის ერთის სტანციიდამ რეშტამდე. ამ უკანასკნელ ქალაქიდამ თეირნამდე რკინის გზის გაყვანა ნაკისრები აქვს ერთს ფრანცუზების კამპანიას, ასე რომ, თუ ორივ აზრი შესრულებულიყო, თბილისი თეირანს რკინის გზით შეუერთდებოდა. თუ ვინიცობაა, ფრანცუზების კამპანია ვერ შეასრულებდა თავისგან ნაკისრებ საქმეს, რუსის ინჟინრებს უნდა გამოეთხოვათ ნება რეშტიდამ თეირნამდე რკინის გზის გაყვანისაც. აქამდის ამ გვარი ცდა ამაოდ ჩაივლიდა ხოლმე, რადგან სპარსეთი ღარიბი ქვეყანაა და მის მთავრობას არ შეუძლიან გარანტია მისცეს 40—50 მილიონზე, რომელიც ხსენებული რკინის გზისათვის იქნება საჭირო.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელს №-ში, მეორე გვერდის მეორე სვეტზე, ზევიდამ მე-30 სტრიქონში, შინაურ ქრონიკაში სწერია: «ხალხისაგან კონსერვების გაკეთებაზედ», — უნდა იყოს: ხილისაგან კონსერვების გაკეთებაზედ.

### ხმა გარსაჯავახოდან.

ვერ ვიტყვით, რომ ამ დროში საქართველოში სწავლა-განათლება წინ არ მიდიოდეს და საქართველოს სხვა-და-სხვა სოფლებში სკოლებიც ზოგან კარგა ხანია არ დაარსებულ იყვნენ და ზოგ ადგილს თან-და-თან არ არსდებოდენ და მათი შემწეობით წერა-კითხვა არ ვრცელდებოდეს დაბალ ხალხში, რომელსაც წინად თითქო ცოდვად მიაჩნდა წერა-კითხვის სწავლა. თუ უწინ იყო ვინმე სწავლული, ან, უკედ რომ ვსთქვათ, წერა-კითხვის მცოდნე, იყო თავად-აზნაურობასა და სამღვდელოებაში. გლეხობაში კი ძვირად მოიძებნებოდა წერა-კითხვის მცოდნე პირი და თუ ვინმე გლეხთაგანი მოჰკიდებდა წიგნს ხელს და მოიწადინებდა წერა-კითხვის სწავლას, სხვა გლეხები დაცინვით ეტყოდენ: «რაც არ ექმნას მამაშენსა, ნურც შენ დახევ პარპაშებსა», ან: „ეგ რა გიჭირავს ხელში?“—ქაღალდი (წიგნის მაგიერად).---«მამა შენიც ქაღალდის კითხვაში არ მოკვდა»? დაცინვით ეტყოდა მეორე. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს დრო აღარ არის დღეს. დღეს თითქმის ყველა გლეხმა იცის, თუ რა სასარგებლოა სწავლის შეძენა და მართლადაც ეხლანდელი დედები ხშირად ეუბნებიან თავის შვილებს ჩვენს პოეტთან ერთად: «კარგია, შვილო, სწავლის შეძენა». თითქმის საქართველოს ყოველ კუთხეში დაარსდა, ან არსდებიან სკოლები, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა იმერეთის ერთ დიდ ნაწილში—საჩინო და საჯავახოში, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სკოლა სრულიადაც არ არსებობს, თუმცა საჩინოში არის ორგან, თუ სამგან სკოლის ხსენება...

---

ბა ჩვენის ქვეყნისა უნდა იყოს თვით ის აღწერა, რომელიც ვახტანგის ბძანებით შეუდგენიათ და ვახუშტის ეს აღწერა მხოლოდ შეუსწორებია და იქნება შეუვსია კიდეც. რომ ვახუშტისაგან ხსენებული შეცდომა შემდეგ იმისაც გავრცელებული ყოფილა ქართველებში, ამას ამტკიცებს წარწერა ერთის ქართლის ცხოვრების გადამწერისა გიორგი მეფის დროს. ეს წარწერა ამბობს: «ამ ბრწყინვალის მეფის გიორგის შემდგომად ვახუშტი დასწერს.... და რადგან მისის უმაღლესობის მეფის გიორგისაგან ვახტანგის თქმულზე მაქვნდა ბრძანება გადაწერისა...» და სხ. (იხილე ქართ.-ცხ., 447, შენიშვნა 3).

წინა-სიტყვაობა ვახუშტისა, რომელსაც ჩვენ ვუჩვენებთ, ჩართულია ბროსესაგან გამოცემულს ქართლის-ცხოვრებაში (იხილე ქართ. ტექსტი, 10 ნაწ., გვ. 1—10, Hist. de la Géor., II, livr, 1—10) და ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, რომ ახალი ქართლის ცხოვრების შემადგენელის სახელი, ესე იგი ვახტანგისა, თუმცა ესეც შეცდომით მიღებული, მიუთვისებიათ თვით ძველის ქართლის ცხოვრებისათვის, ასე რომ ორს ძველს ქართლის ცხოვრების ვარიანტში, რომელნიც ვახტანგის წინად არიან გადაწერილნი და ეკუთვნოდენ თეიმურაზ ბატონიშვილს (ახლა ერთი იმათგანი ეკუთნის აკადემიას, მეორე რუმიანცოვის მუზეუმს), დასაწყისში შემდეგის ხელით არის მიწერილი ის სათაური, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, თუმცა არავითარი მონაწილეობა ანუ შრომა ვახტანგისა არა ჩანს ამ ვარიანტებში. ეს შეცდომა მოსვლია თვით ზედმიწევნით მცოდნეს ქართულის ისტორიისას თეიმურაზ ბატონიშვილს. რაც კი იმას თავის ისტორიაში ძველის ქართლის-ცხოვრებიდამ შემოაქვს, ყველას მეფე ვახტანგს მიაწერს. ამ შეცდომას ცხადად გრძნობდა ბროსე; ასე რომ როდესაც იმან ძველადვე სომხურ ენაზედ ნათარგმნი და მე-XII საუკუნემდე მიყვანილი ქართლის ცხოვრება (Chronique arménienne) შეუთანასწორა ძველ ვარიანტებს ქართლის-ცხოვრებისას, პირ-და-პირ გამოსთქვა: „ამის შემდეგ მე აღარ შემიძლიან ძველი ქართლის-ცხოვრება მეფე ვახტანგს მივაწეროო“ (Hist. de la Géor., II, 2 livr. Introd., XVIII); მაგრამ მაინც მან სრულებით ვერ უარჰყო ღრმად დანერგილი შეცდომილება და ბროსე მაინც რაღაც შრომას ვახტანგისას ჰხედავს ძველს ქართლის ცხოვრებაში, თუმცა არ იცის, რა შრომაა ეს შრომა (ib., XXVII). აქამომდე ჩვენ თვითონაც ამ აზრისანი ვიყავით, რადგანაც ძველი ვარიანტები არ გვენახა; მაგრამ როდესაც ამ ცოტა ხანში შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში ერთი ძველი ქართლის-ცხოვრება, გადაწერილი ვახთანგზე ადრე, 1636-1646 წ. როსტომ მეფის მეუღლის მარიამ დედოფლის ბძანებით (ეს წიგნი თვით ვახტანგ მეფესაც ჰქონია ხელში, როგორც ამას ამტკიცებს რამდენიმე იმის ხელით მინაწერი), და როდესაც ეს ვარიანტი დაბეჭდილს ქართლის-ცხოვრებას (დაბეჭდილი ქართლის-ცხოვრება დაფუძნებულია განსაკუთრებით ორს ძველს თეიმურაზ ბატონიშვილის ვარიანტზე) მთლად შევადარეთ, აღმოჩნდა, რომ ვახტანგს ისე არავითარი მონაწილეობა არა აქვს ძველს ქართლის-ცხოვრებაში, როგორათაც მე და შენ, მკითხველო! ამ საგანზე ჯერ-ჯერობით კმარა. რაც ვთქვით, ისიც ცხადად გვიჩვენებს, რამოდენადა ვართ ყველანი შემცდარნი, როდესაც ვახტანგის სახელს ქართლის ცხოვრებას ვუკავშირებთ. ჩვენ ვთხოვთ ბ. პატკანოვს, ყურადღებით გადაიკითხოს ყველა მასალა ამ საგანზე, რომელიც იმას ხელქვეშა აქვს პეტერბურგში და რომელსაც, მთლად თუ არა, მომეტებულ ნაწილს მაინც, ჩვენ პეტერბურგს გარეშე მოკლებულნი ვართ.

თავის ახალ შრომაში ბ. პატკანოვს უმთავრეს საგნად ისა აქვს, რომ, როგორც თვითონ ამბობს, გამოიძიოს, შეეხება თუ არა ქართული წყარო იმ დროს, როდესაც ახლანდელთ ევროპიელთ მეცნიერთ გამოკვლევა უჩვენებს ქართველ ტომს ვანის ლურსმებრივ მწერლობაში, ესე იგი, ვითომც ძველის-ძველად ქართველობა ოდესმე გავრცელებული ყოფილიყო, ვიდრე სომხები გამოჩნდებოდენ, მთელს სომხეთში. ამ საგანზე, როგორც გვაგონდება, პატკანოვი წინად წინააღმდეგს ამბობდა; მაგრამ რადგანაც ხსენებულს აზრს უფრო და უფრო ითვისებს ევროპიული მეცნიერება, მისთვის ახლა ცოტაოდნად ისიც ყოყმანით სთმობს. ამ საგანს ჩვენ აქ არ შევეხებით. ჩვენ მხოლოდ გვსურს მკითხველს გავაცნოთ საფუძველი იმის მსჯელობისა ქართულ წყაროებზე. ის ამტკიცებს, რომ არა თუ ქართული მწერლობა არ იხსენიებს უძველეს ზეპირ-თქმულებას საქართველოს დასაწყისზე, არამედ შემდეგს ისტორიულ დროზედაც კი არავითარ მასალას არ

ერთი ამ სკოლათაგანი ტობანიერის საზოგადოებაშია. ეს სკოლა თუმცა კარგა ხანია გაიხსნა და დაბინავებულია ერთ ადგილას, მაგრამ სწავლა ისე ვერ მიდის როგორც უნდათ. ამ სკოლის მასწავლებელს, გარდა იმავე საზოგადოებაში, აგერ ერთი წელიწადი იქნება, შეუგროვებია პაწაწა ქალები და ვაჟები ზემოხსენებული მასწავლებლის დას, რომელსაც ქ. ქუთაისში უსწავლია, და თურმე გვარიანად, კარგად ასწავლის. მეორე ზემოხსენებული სკოლა მთა-ბაროზს (кочуетъ): ხან ს. დიხაშოზეა, ხან ზეინდარზე და ხან სხვაგან. ნათქვამია: „სულ არარაობას ცალი ყელა ხარი სჯობიაო“. ამ ანდაზისა არ იყოს, საჩინოში, როგორიც არის, ხომ არის — კიდევ მაინც სკოლის ხსენება და ეგეც კარგია, მაგრამ ამ საბრალო საჯაოხოს რაღა დაემართა?! საჯაოხოს შეადგენს ორი დიდი საზოგადოება: მუხაყრუის და აბაშისა, რომლებშიაც ცხოვრობენ ათას კომლზედ მეტი და ერთი სკოლა არ არის! მასაკვირველია სწორედ! და კაცი უფრო გაიკვირვებს ამას, რომ დავუმატოთ კიდევ ისა, რომ მესამე საზოგადოებაც საჯაიჭაოსი, რომელიც მუხაყრუის საზოგადოებაზედ არის მოკრული, უსკოლოთაა. მუხაყრუის და აბაშის საზოგადოებას ბევრჯერ ერთად ჰქონდათ მოლაპარაკება, სურდათ ერთად შუა ადგილზედ აეშენებინათ სკოლა, ბევრჯერ ცალ-ცალკე თითოეულ საზოგადოებასაც ჰქონდა მოლაპარაკება, მაგრამ ჯერ კიდევ არ ეღირსათ მათ ამ კეთილი და სასარგებლო საქმის დაწყება. აბაშის საზგადოების კანცელარიაში აგერ ახლაც იყო სკოლის დაარსების თაობაზე ყრილობა და ვერაფერი კი ვერ დააბოლოვეს. სად გამართონ სკოლა არ იციან. ვინ ამბობს ს. ნოღას, ვინ აბაშაში, ვინ ამ საჯაოხოს სტანციაზედ სჯობიაო და არსად კი არ ჩაჰყარეს სკოლის საფუძველი. თუმცა ბევრი ამბობს საჯაოხოს სტანციაზედ არ ივარგებს სკოლაო, მაგრამ, ჩემის აზრით, არ უნდა იყოს ურიგო და სხვაგან გამართვას იქ ბევრად სჯობია; ერთი რომ აბაშის და მუხაყრუის საზოგადოების სამზღვარზეა და ამით საშუალო ადგილად ჩაითვლება, მეორე — აქ რომ სკოლა გახსნან, იმედია, აქაური მცხოვრები ზ. კ—ნი სკოლისათვის ადგილს შესწირავს და ხე-ტყესაც იაფად მისცემს, თუ მუქთად არა; მესამე, მისვლა-მოსვლა, სასწავლო ნივთების ადვილად და საჩქაროდ გამოწერა და შოვნა შეიძლება და სხ. იქნება ზოგიერთებმა სთქვან, რომ საჯაოხოს სტანციაზედ ციებ-ცხელება ეცოდინებაო და ბავშვები ვერ გასძლებენო, მაგრამ ამისი შიში სრულიადაც არ უნდა ვიქონიოთ. მაგალითად, მოვიყვან სამეგრელოს სასწავლებლის წარსულს. როცა აღნიშნული სასწავლებელი მარტვილში იყო, ყველა ჰხედავდა, რომ საშუალო ადგილი სენაკს ეჭირა, მაგრამ მარტვილელები და ზოგიერთა სხვებიც ამტკიცებდენ, რომ სენაკში ციებ-ცხელებით დაიხოცებიან ბავშვებიო. ამ ლაპარაკის დროს ვილამაც დასწვა სასწავლებლის შენობა და სასწავლებელი სენაკში გადიტანეს, მაგრამ ავადმყოფი ბავშვების რიცხვი იქ არ აღმატებულა და მარტვილში რომ შაგირდები იხოცებოდენ, ისე სენაკში არ იხოცებიან. ეს მაგალითი მისთვის მოვიყვანე, რომ დღეს ის ადგილები, სადაც წინად ციებ-ცხელება მძვინვარებდა, გამშრალა. ჭაობები ნაკლებად არიან და სადაც კიდევ დარჩენილან, იმათაც აშრობენ და ამით ადგილიც და ჰავაც ხასიათს იცვლის. ამისთვის საჯაოხოს სტანციაზედ, ჩემის აზრით, არ იქმნება ურიგო, რომ გახსნან სკოლა. ბოლოს ვისურვებ, რომ ამ ორ საზოგადოებაში მალე და დროიანად გვღირსებოდეს მოხდენილ, საშუალო და საუმჯობესო ადგილზედ სკოლის გახსნა.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ ჩემს წერილს თქვენს გაზეთში და მით გამომიხსნათ იმ გამოუთქმელი შევიწროებული მდგომარეობისაგან, რომელშიაც ამ ჟამად მე ვიმყოფები.

მარტის თვეში მე მოვიტანე ქარელის სტანციაში ხის მასალა ყვირილის სტანციაში გასაგზავნად და ვსთხოვე ადგილობრივ სტანციის უფროსს, რომ ორი ცარიელი ვაგონი ჩემთვის მოეცათ ხსენებული ხის მასალის გადასატანად. სტანციის უფროსმა მოითხოვა ჩემთვის ვაგონები, მაგრამ არ გამოგზავნეს; შემდეგ მე რამდენჯერმე ვსთხოვე მოძრაობის უფროსს, ბ. ბორნიჩს, ტელეგრამებით, რომელთაც არაფერი ყურადღება არ მიაქცია... ბოლოს, წარსულს კვირაში, ბ. ბორნიჩი შემთხვევით ვნახე აქ გამოვლილი, როდესაც ბათუმში მიბძანდებოდა; ვსთხოვე პირად ზემოხსენებული ვაგონები და აღმითქვა, რომ «ხვალ უსათუოდ მიიღებთო», მაგრამ აგერ ერთი კვირა გავიდა და არაფერი მომსვლია. თუ მცოდნოდა, რომ ასე დამიგვიანებდენ საქმეს, ას წილად მერჩია ძველებურად ურმებით გარდამეტანა. სამი კვირით შევყურებ ყოველ-დღე ვაგონების მოსვლას, მაგრამ სრულებითაც ყურს არავინ უგდებს ამ ჩემს თხოვნას. წარმოიდგინეთ, თუ სამს კაცს რამდენი ხარჯი მოუნდება ერთ თვეს, მაგრამ ვის რა ენაღვლება ჩემი ხარჯი. სასურველია, შევიტყოთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის აზრი, ამ ჩემი კითხვის შესახებ: რკინის-გზები ხალხის მოთხოვნილებისთვის არის გაკეთებული, თუ ხალხია რკინის-გზისთვის?

აზნ. რაჟდენ ჩხეიძე.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთ სააგენტოსი“)

30 აპრილს.

**ვაშინგტონი.** პურის მოსავალს მაისშიაც ისეთივე კარგი პირი ეტყობა, როგორც აპრილში და, თუ ამინდი არ შეიცვალა, ძველი-თესლის მოსავალი მიახლოვებით 350 მილიონ შეფელამდინ ავა.

**ბერლინი.** გაზეთები იუწყებიან, რომ იმპერატორი ვილჰელმი თანახმაა ბისმარკის დათხოვნაზე, რომ სამინისტროში დაახლოებულს მონაწილეობას აღარ იღებდეს. რეიხსტაგმა მესამე წაკითხვის შემდეგ მიიღო კანონ-პროექტი სოციალისტების შესახებ კანონის განგრძობაზე.

**ლეიპციგი.** აქ დაიწყო გარჩევა კრაშევსკის და იმის თანამოზიარე-

---

გვაძლევს, და თუ გვაძლევს, ისიც ერთად-ერთს ცნობილს შრომაში «სომხურ ხრონიკაში» — Chronique armén. — მართალია, ეს ხრონიკა ქართულიდამ არისო ნათარგმნი; მაგრამ იმისი დედანი უნდა იყოს შეთხზული ანუ შედგენილი უსწავლელისა და უმეცარის სომხისაგან მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც ქართველებმა იგრძნეს ისტორიის საჭიროება. დანაშთენი ცნობები ძველს საქართველოზე იპოებაო მხოლოდ სომხურს ისტორიულს მწერლობაში. ვახტანგზე ადრინდელს, ქართლის-ცხოვრებაზე არავითარი ცნობა არა არისრაო.

თუ პროფესორი პატკანოვი არა ჰხედავს აქამომდე მოღწეულს ვახტანგზე ადრინდელს ქართლის-ცხოვრებას, ეს ჩვენი ბრალი არ არის. ჩვენ იმას ვუჩვენეთ ორი ამ გვარი ვარიანტი პეტერბურგში. ჩვენ იმასაც ვეტყვით ბ. პატკანოვს, რომ ამ ორ ვარიანტში და მათ ფრანცუზულ თარგმანში არის სხვა-და-სხვა იმისთანა ფაქტები, რომლებზედაც მან არა იცისრა და რომ სცოდნოდა, იქნება სრულებით სხვა დასკვნა შეედგინა ზოგიერთ საგნებზე. რაც უნდა იყოს, რომ აფიქრებინა ბ. პატკანოვს, ვითომც ქართველი ერი ისეთ ველურ მდგომარეობაში იყო, რომ ვერა გრძნობდა საჭიროებას ისტორიისას მე-XII საუკუნემდე და აქაც კი, თუ არ ისიც უმეცარის სომხის შემწეობით, მან ვერ შესძლო თავისი ისტორია თვითონვე შეედგინა; — ის ერი, რომელსაც, სტრაბონი პირველის საუკუნის დამდეგს აღყვავებულ მდგომარეობაში გვიჩვენებს, რომელმაც გასაოცარის ხელოვნების ეკლესიებით და მონასტრებით მოჰფინა ძველის დროდგანვე თავისი მხარე, რომელმაც გაავსო როგორც საქართველო, აგრეთვე საბერძნეთი და პალესტინა ქართულის სამკაულებით და მანუსკრიპტებით?!

«მეცნიერთ აზრი ქართლის-ცხოვრების ისტორიულ მნიშვნელობაზე ორ გვარიაო, ამბობს პროფესორი. — ზოგნი იმათგანნი, როგორათაც ბროსსე და არმენისტი სენმარტენი გვარწმუნებენო, ვითომც ის იყოსო ძველის დროის ნაწარმოები და ღირს-შესანიშნავი თავის ცნობებით. ზოგნი კი, იმათ შორის სენკოვსკი, პოხი და ლანგლუა წინააღმდეგს აზრს აღგანანო»... ჩვენ არ გვესმის, რა შესადარისნი იყვნენ აქ ეს პირნი. ერთი ესა, რომ სენკოვსკი იყო ჟურნალისტი, პოხი — ბოტანიკი, რომელთაც არავითარი ცოდნა არა ჰქონდათ ჩვენს ისტორიაზე და მაშასადამე არც სჯა შეეძლოთ ქართლის-ცხოვრებაზე; ამასთანავე სენკოვსკი არა თუ უარ-ჰყოფდა ქართულ ისტორიას, იმასაც კი ამტკიცებდა, ვითომც ქართველი ტომი არ არსებობდა საქართველოში მე-XII საუკუნემდე. მეორე ესა, რომ ლანგლუა ქართლის ცხოვრებაზე სრულებით არ არის იმ აზრისა, რომელსაც მას პატკანოვი მიაწერს. ჩვენის ფიქრით, საფუძველი მსჯელობისა ქართლის-ცხოვრებაზე ლანგლუასი, სენმარტენისა და ბროსსესი ერთი და იგივეა, თუმცა, რასაკვირველია, თვით ხასიათი მსჯელობისა თვითოეულს იმათგანს სხვა-და-სხვა აქვს. ლანგლუას აზრით, «ქართლის-ცხოვრების დასაწყისი ზღაპრულია, როგორათაც ყველა ტომის ისტორიისა, როგორათაც თვით სომხურის ისტორიისა. ქართლის-ცხოვრება წარმოგვიდგენს ორ განყოფას: პირველია ზეპირ-თქმულება, ქრისტიანულ ნიადაგზე აშენებული, რომელიც დროითი დრო აღმოაჩენს კვალს ძველის გარდამოცემისას. ეს განყოფა თავდება მე-VI საუკუნეში და ამ დროიდამ იღვიძებს ეროვნული აზრი. ისტორია ჰკარგავს ძველს ზღაპრულს ხასიათს და მყარდება ნამდვილს ნიადაგზე. მემატიანენი მეფეების ხელმძღვანელობის ქვეშ თავის ხრონიკებში აღნიშნენ ისტორიულ მსვლელობას საქართველოსას და ქართული ფულიც იჭედება ქართულის წარწერებით» (Langlois, Essai de classification des suites monetarcs de la Géorgie, 1860, p. 3—10). მართალია, ცხადად ჩანს სომხური ისტორიის გავლენა ქართლის-ცხოვრების თავდა-პირველ თქმულებაზე; მაგრამ თვით სომხეთის მწერლებს საიდამ აქვთ შემოტანილი თავიანთი უძველესი თქმულება? სირიულისა და განსაკუთრებით ბერძნულის წყაროებიდამ. ამ შემთხვევაში არც ქართული არც სომხური წყაროები არ გვაძლევენ ნამდვილ გარდამოცემას ერთისა და მეორის ნათესავისას. ჩვენ ვერ უარ-ვყოფთ შემდეგშიაც სომხურ გავლენას ქართლის-ცხოვრებაზე; მაგრამ ამასთანავე ცხადია აგრეთვე ჩვენის ისტორიულის მწერლობის ზედ-მოქმედება სომხურ მატიანეებზე. ამ საგანზე ზოგიერთ საბუთს თავის ადგილს ვუჩვენებთ.

დ. ბაქრაძე.

(შემდეგი იქნება)

თა საქმისა; მათ ბრალდება საჴელმწიფოს ღალატი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იგინი უცხოქვეყნელ მმართებლობათ აწვდიდნენ საიდუმლო ცნობებს; კრაშევსკისთან ერთად ბრალდება ეს დანაშაული გენტშს. სხვა ცნობათა შორის იმათ გარდაუციათ საფრანგეთისთვის ცნობა შესახებ გერმანიის ჯარის დასავლეთისკენ მოძრაობისა და სხვა-და-სხვა ჯარის სახელმძღვანელო ინსტრუქციები.

შანხაი. გუშინ ტიან-ძინში საფრანგეთმა და ჩინეთმა დასდვეს ერთიერთ-შორის ხელ-შეკრულობა და ხელიც მოაწერეს. ამ ხელ-შეკრულობის ძალით ტონკინი და ანამი საფრანგეთის მფარველობის ქვეშ უნდა იყვნენ; ჩინეთი, ამას გარდა, მოვალეა გზა გაუხსნას საზოგადო ვაჭრობას—ზოგიერთა ცნობებით კიდევ, მარტო საფრანგეთისას—სამს თავის სამხრეთისკენ მდებარე პროვინციაში. საფრანგეთი ამ ხელ-შეკრულობისავე ძალით აღარ გადასახდევინებს მას სამხედრო ხარჯს. ხელ-შეკრულობას ხელი მოაწერეს საფრანგეთის წარმომადგენელმა კაპიტანმა ფურნიემ და ჩინეთის წარმომადგენელმა ლიხუნგ-ჩანგმა.

1 მაისს

ასტრახანი. გუშინ „მიორტვი კულტუკში" წავიდა „რუსეთის საზოგადოების" გემი ხე-ტყით დატვირთული. გემი უკან დაბრუნების დროს 2300 ფუთს ბამბას წამოიღებს; სულ 30.000 ფუთს ბამბას მოელიან. ბუხარის ბამბა ერთი მანათით იაფად დაჯდება ფუთზედ, ვიდრე სპარსეთისა.

ლეიპციგი. კრაშევსკის საქმეში ბრალდებულთ თავიანთ თავი დამნაშავედ არ იცნეს.

ლონდონი. გუშინ საზოგადოებათა პალატაში იყო ლაპარაკი შესახებ გიქს-ბიჩის წინადადებისა, რომელშიაც გიქს-ბიჩი მთავრობას ჰკიცხავს ეგვიპტის პოლიტიკისთვის. გლადსტონმა წარმოსთქვა სიტყვა მმართებლობის პოლიტიკის საქომაგოდ და სთქვა, რომ —იმას სრულიად აზრადაც არა აქვს მაჰდის დამხობა, რადგან ამ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა სუდანის ხელმეორედ დაპყრობა და შეტაკება იმ ხალხთან, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძვის. ეს ინგლისის მმართებლობის სურვილს ეწინააღმდეგება. გორდონის შესახებ გლადსტონმა წარმოსთქვა, რომ მმართებლობა თავის სიტყვას არ გადავა და შემწეობას აღმოუჩენს მას; მაგრამ წინ წასვლა კი ინგლისის ჯარს არ შეუძლიან, რადგან სუდანის ჰავა ამის ნებას არ აძლევს.

### «დროების» ფოსტა.

ს. თ—ის შ—მთრეველს. ანეგდოტებზე ჰკიდია, ივარგებს, თუ არა დასაბეჭდად. თევზი წყალში არ დაიფასდება. ლექსიკონი და ქართლის-ცხოვრება თბილისში არ იყიდება,—უნდა პეტერბურგიდამ დაიბაროთ.

ტ. გ—ძეს. ორი მანათი არ მიგვიღია. განცხადებას დავბეჭდავდით, მაგრამ რედაქცია ვერ იგისრებს ადრესების მისწავლებას.

## განცხადებანი

გამგე კომიტეტი თბილისის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწეობისათვის უმორჩილესად სთხოვს მოხსენებულ საზოგადოების წევრთა, რომელთა შორის ირიცხებიან აგრეთვე თბილისის საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელნი, რათა მობძანდენ ჩვეულებრივ წლიურ საზოგადო კრებაზე 5 მაისს, საღამოს 6 საათზე, სააზნაურო სკოლაში, სტარო-ინსტიტუტსკის ქუჩაზე.

საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი:

1) გამგე კომიტეტის წლიური ანგარიში შესახებ სააზნაურო სკოლის მდგომარეობისა და

2) ბიუჯეტი მომავალი აკადემიური წლისა. (6—6)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2— ,, | — 3 — ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—100)

### ინგლისური რკინის კროვატები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფაიფორსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფრუვნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, ხაჭაპურის ფორმები, ბლუდები, სასანთლეები, ტაშტები, სარძევები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბადო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ფარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საპნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—5)

### საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთადერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აურებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარცები ჭურჭლის საწმენდად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბუზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ჩემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პრობკი, ქამრები, სარტულები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შრიტები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

კატალოგი—20 კ. (100—83)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მაისიდამ 16 მაისამდე 1884 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური- | | |
| სეთის ფქვილისა— — | —1 გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 გ. | 3 კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | 2½ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გ. | 5 კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | 3½ |
| მესამისა— — | —1 გ. | 3 კ. |
| ჭვარის-მამი პური: | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | 4 კ. |
| მესამისა — — | —1 გ. | 3½ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 9 კ. |
| მეორისა — — | —1 გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 11 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | — კ. |
| მეორისა — — | —1 გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 1 Мая 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.